

შეფასების ანგარიში

CAO-ს მიერ საერთაშორისო ფინანსური
კორპორაციის აუდიტის შეფასება
CAO-ს შესაბამისობის განყოფილება

C-I-R7-Y06-F078
2007 წლის თებერვალი

საქართველო
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი

Georgia
Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) Pipeline

თბილისის მცხოვრებთა საქმე
ვარდის ბუჩქების კომპენსაციის თაობაზე

Case of
Resident of Tbilisi/ Compensation for rose bushes

ანოტაცია

შეფასების წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პასუხს საჩივარზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის (“პროექტი”), საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) ინვესტიციის თაობაზე. საჩივარი შემოიტანეს საქართველოს მოქალაქეებმა, თბილისის მცხოვრებლებმა. CAO-ს ომბუდსმენმა დაასკვნა, რომ მხარეებს არ სურდათ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღწევა. ამგვარად, ეს საქმე გადაეცა CAO-ს შესაბამისობის განყოფილებას შესაფასებლად – რათა განსაზღვრულიყო, აკმაყოფილებდა თუ არა საჩივარი კრიტერიუმებს CAO-ს კვლევა-ძიების საფეხურის/პროცესის დასაწყებად - საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის აუდიტის ჩასატარებლად. საჩივარმა აღძრა შემოთქმა მომჩივანთა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის თაობაზე, და “პროექტის” საქმიანობის შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზეგავლენის შესახებ. ძირითად საკითხს წარმოადგენდა კომპენსაცია მომჩივანთა მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთზე არსებული ვარდის ბუჩქებისათვის. მომჩივანებმა განაცხადეს, რომ “პროექტის” მიერ შემოთავაზებული კომპენსაცია არაადეკვატური იყო.

მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრების
საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და
მულტილატერალური ინვესტირების გარანტიების უწყების (MIGA)
მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისი (CAO)



სარჩევი

1. CAO-ს შეფასების პროცესის მიმოხილვა
2. შეფასების საფუძველი და მიზეზები
3. IFC-ს აუდიტის შეფასების სფერო
4. პოლისების შესაბამის მიმართებაში მიჩნეული დებულებები
5. რას მიაკვლია CAO-მ.
6. CAO-ს გადაწყვეტილება

დანართი: ტექნიკური შეფასების ანგარიში

რას წარმოადგენს CAO

CAO-ს მისიაა შეასრულოს სამართლიანი, სანდო, და ეფექტური დამოუკიდებელი რესურსების მექანიზმის ფუნქცია, და გააუმჯობესოს გარემოს დაცვისა და სოციალური სფეროს მიმართ საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) დამულტილატერალური ინვესტირების გარანტიების უწყების (MIGA) ანგარიშშეცვლობა.

CAO (მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისი) წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც ანგარიშშეცვლილია უშუალოდ მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტის წინაშე. CAO განიხილავს იმ ადგილების მცხოვრებლების მიერ გამოგზავნილ საჩივრებს, რომლებზედაც გავლენას ახდენს მსოფლიო ბანკის ჯგუფის ორი კერძო სექტორის სესხების გამცემი განშტოებების – საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო ფორნდის (MIGA) ეკონომიკური განვითარების პროექტები.

CAO-ს თაობაზე უფრო სრული ინფორმაციის მოსაპოვებლად მიმართეთ ვებ-გვერდს:

www.cao-ombudsman.org



1. CAO-ს შეფასების პროცესის მიმოხილვა

როდესაც CAO მიიღებს საჩივარს IFC-ის ან MIGA-ს პროექტის თაობაზე, პირველ რიგში ეს საჩივარი მიდის CAO-ს ომბუდსმენტან, რომელიც მუშაობს, რათა სწრაფად და ეფექტიანად გასცეს პასუხი საჩივარზე მხარეების მორიგების საშუალებით, თუ შესაძლებელია. თუ CAO დაასკვნის, რომ მხარეებს არ სურთ მორიგების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება, მაშინ CAO-ს ვიცე-პრეზიდენტს გააჩნია საშუალება მოსთხოვოს CAO-ს მაკონტროლებელ/შესაბამისობის განყოფილებას, რათა ამ უკანასკნელმა შეაფასოს საჩივარში გამოხატული შეშფოთება, და მოითხოვოს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) ან მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო ფონდის (MIGA) შესაბამისობის აუდიტის ჩასატარება. მეორე მხრივ, ასეთივე აუდიტის ჩატარების მოთხოვნა შეუძლია მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტს ან საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) ან მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო ფონდის (MIGA) მართვის მაღალი ეშელონის წარმომადგენლებს.

CAO-ს შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს წინასწარ ძიებას იმის დასადგენად, უნდა მოითხოვოს CAO-მ IFC-სა ან MIGA-ს აუდიტის ჩატარება, თუ არა. შესაბამისობის შეფასებების წყალობით CAO უზრუნველყოფს, რათა IFC-სა ან MIGA -ს შესაბამისობის აუდიტი ჩატარებულ იქნას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სერიოზულ შედეგებს სოციალურ სფეროსა და გარემოს დაცვაში.

აუდიტის საზრუნავს წარმოადგენს შესაბამისი პოლისების დადგენილებების, მიზანმიმართულებებისა და პროცედურების გამოყენების შეფასება, რათა განისაზღვროს IFC-სა ან MIGA-ს შესაბამისობა. აუდიტის დროს უპირველესი ყურადღება ექცევა IFC-სა ან MIGA-ს, მაგრამ სპონსორების როლიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

შესაბამისობის აუდიტის შეფასება, და ნებისმიერი აუდიტი, რომელიც მას მოჰყვება, უნდა რჩებოდეს საწყისი საჩივრისა თუ მოთხოვნის საზღვრებში. ის არ უნდა სცილდებოდეს მოთხოვნისა თუ საჩივრის ფარგლებს, და არ უნდა შეეხოს სხვა საკითხებს. წინააღმდეგ შემთხვევებში მომჩივანმა უნდა წარმოადგინოს სხვა საჩივარი ან მოთხოვნა.

CAO-ს შესაბამისობის შეფასება განიხილავს, თუ რამდენად შეესაბამება IFC-სა ან MIGA-ს საქმიანობა ეროვნულ კანონმდებლობას, ასახავს კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებს, და აუდიტით განსაზღვრულ სხვა კრიტერიუმებს. CAO-ს არ გააჩნია იურიდიული უფლებამოსილება; ის არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს ან სხვა სამართალდამცავ მექანიზმს, და არც საერთაშორისო ან მასპინძელი ქვეყნების სასამართლო სისტემის შემცველ მექანიზმს წარმოადგენს.

შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული CAO-ს საოპერაციო სახელმძღვანელოში. კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია ისეთი კითხვების სერიების ფორმით, რომლებითაც მოწმდება IFC-სა ან MIGA-ს შესაბამისობის აუდიტის ჩატარების ფასეულობა. კრიტერიუმები შემდეგია:

- არსებობს თუ არა სოციალური სფეროსათვის ან გარემოსათვის მიყენებული ზიანის სამხილი (ან რეალური რისკი), რაც იმის დამამტკიცებელია, რომ პოლისის დებულებები (ან აუდიტის სხვა კრიტერიუმები) არ არის დაცული ანდა შესრულებული?



- არსებობს თუ არა სოციალური სფეროსათვის ან გარემოსათვის მიყენებული სერიოზული ზიანის სამხილი (ან რეალური რისკი), რაც იმის დამამტკიცებელია, რომ დებულებები, სტანდარტები, მიმართულებები და ა.შ., შესრულდა ისინი თუ არა, ამას არ მოჰყოლია დაცვის ადექვატური დონე?
- არსებობს თუ არა სოციალური სფეროსათვის ან გარემოსათვის მიყენებული ზიანის სამხილი (ან რეალური რისკი), როდესაც პოლისების დებულებების, სტანდარტების (თუ აუდიტის სხვა კრიტერიუმების) გამოყენება არ ჩაუთვლიათ საჭიროდ, მაგრამ შესაძლოა მათი გამოყენება აუცილებელი იყო?
- არსებობს თუ არა სამხილი, რომ ზოგიერთი დებულების, სტანდარტის, მიმართულებისა თუ პროცესის გამოყენებამ, პირიქით, ზიანი მიაყენა სოციალური სფეროს ან გარემოს?
- შესაძლებელია თუ არა, რომ სოციალური სფეროსა და გარემოს ზიანის მიზეზი ზუსტად იყოს ამოცნობილი და გამოსწორებული პროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ, ფარული მიზეზებისა და გარემოებების დეტალური გამოკვლევის ჩატარების გვერდის ავლით?
- შესაძლებელია თუ არა, რომ აუდიტმა გამოავლინოს ისეთი ინფორმაცია ანდა აღმოჩენა, რომელიც გააუმჯობესებს პოლისების (ან აუდიტის სხვა კრიტერიუმების) გამოყენებას მომავალ პროექტებში?

შეფასების პროცესში, CAO-ს შესაბამისობის განყოფილება ატარებს მსჯელობებს IFC-სა ან MIGA-ს ჯგუფებთან და სხვა მონაწილე მხარეებთან, რათა კარგად იყოს გაგებული საზრუნავის ვადები, და გამოკვლეული იქნას იძლევა თუ არა ამის გარანტიას აუდიტი.

მას შემდეგ, რაც შესაბამისობის შეფასება დასრულდება, CAO-ს გააჩნია მხოლოდ ორი არჩევანი: დახუროს საჩივრის საქმე, ანდა წამოიწყოს IFC-სა ან MIGA-ს შესაბამისობის აუდიტის ჩატარება.

CAO აქვეყნებს შესაბამისობის შეფასების აღმოჩენებს და გადაწყვეტილებებს შეფასების ანგარიშში, რათა ამგვარად წერილობით აცნობოს ეს ინფორმაცია მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტს, მის საბჭოს, IFC-სა ან MIGA-ს ხელმძღვანელობის მაღალ ეშელონებს, და საზოგადოებას.

CAO მოამზადებს ანგარიშს და გამოაქვეყნებს კვლევის შედეგებსა და CAO-ს შესაბამისობის განყოფილების შეფასების ანგარიშს, რათა წერილობით გააცნოს თავისი გადაწყვეტილება მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტს, საბჭოს, საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო ფორნდის (MIGA) მენეჯმენტის მაღალ ეშელონებს, და საზოგადოებას.

თუ CIO გადაწყვეტს შესაბამისობის აუდიტის წამოწყებას შეფასების საფუძველზე, ის აგრეთვე განსაზღვრავს აუდიტის ჩატარების პირობებს საოპერაციო სახელმძღვანელოსთან შეფარდებით.



2. შეფასების საფუძველი და მიზეზები

- 1,760 კმ სიგრძის ბაქო-თბილისი-ჯეიხანის (BTC) მილსადენი, რომელიც IFC-ის ინვესტირებას წარმოადგენს, სათავეს იღებს სანგაჩალის ტერმინალში, ბაქოს მახლობლად, გაივლის საქართველოზე, და მთავრდება თურქეთში, მის ხმელთაშუა ზღვის ახალ ტერმინალზე, ჯეიხანში.
- თბილისის მცხოვრებმა შემოიტანა საჩივარი CAO-ს ომბუდსმენტთან, დათარიღებული 2006 წლის 12 ივნისით, მის კუთვნილებაში არსებული ნაკვეთის თაობაზე, და “პროექტის” საქმიანობით გამოწვეული ეკონომიკური ზეგავლენის/ზარალის შესახებ, რომელიც მან განიცადა.
- აღნიშნულ საჩივარში, და მთელს მომდევნო კორესპონდენციებში, მომჩივანი იტყობინებოდა, რომ “პროექტმა” შესთავაზა მას 19,120 ლარი¹ სამშენებლო საქმიანობის პროცესში მისი ნაკვეთის გამოყენების საფასურად, და რომ ეს თანხა საკუთრების დაზიანების გამო მის მიერ განცდილი ზარალის საზღაურად არაადეკვატურ კომპენსაციას წარმოადგენდა; აგრეთვე, რომ ეს თანხა არასწორად იყო გამოანგარიშებული “საქართველოში მიწის საკუთრებისა და კომპენსაციების სახელმძღვანელოს” შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს “პროექტის” “გადასახლების სამოქმედო გეგმის” (RAP) შემადგენელ ნაწილს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი კომპენსაცია უნდა ყოფილიყო 527,679 ლარი² დღემდე, მომჩივანი უარს აცხადებს “პროექტისგან” რაიმე თანხის აღებაზე.

| 2006 | |
|--------------|---|
| 12 ივნისი | თბილისის მცხოვრებს CAO-ში საჩივარი შემოაქვს. |
| | CAO-მ დაადგინა, რომ მხარეებს არ სურთ მოლაპარაკების მეშვეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაგრძელება. |
| 31 აგვისტო | CAO-ს შესაბამისობის განყოფილებამ მიიღო საჩივარი შესაფასებლად. |
| 18 დეკემბერი | CAO-ს შესაბამისობის განყოფილებამ მიიღო ბოლო განმარტებები ჩარეული მხარეებისგან. |

¹ წერილი “პროექტისგან” (ბოჯ კომპანია) მომჩივანის მიმართ, დათარიღებული 2006 წლის 20 მაისით.

² წერილი “პროექტს” (ბოჯ კომპანია) მომჩივანისგან, დათარიღებული 2006 წლის 20 მაისით.



3. საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) აუდიტისათვის შეფასების სფერო

4. დისპუტი შეეხებოდა კომპენსაციის თანხას მომჩივანის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ვარდის ბუჩქებისათვის. მომჩივანმა აღძრა განსაკუთრებული საკითხები კომპენსაციის რაოდენობისა და ამ თანხის გამოანგარიშების მეთოდების თაობაზე.

5. მომჩივანი თვლის, რომ “პროექტის” მიერ მისთვის გადახდილ კომპენსაციაში უნდა შესულიყო მისი ვარდის ბუჩქების საზღაური, იმ შემოსავალზე დაყრდნობით, რასაც მომჩივანს მოუტანდა მის მიერ დარგული ვარდის ბუჩქები მათი მოსალოდნელი არსებობის 3 წლის მანძილზე, და თითოეული ვარდის თანადროული საბაზრო ფასი, სულ 527, 679 ლარის³ ოდენობით.

6. “პროექტმა” შესთავაზა მომჩივანს საზღაური მიწის ნაკვეთისათვის პროექტის კურსის შესაბამისად, და ამას დაამატა მილსადენის მშენებლობის კორიდორის მომზადების პროცესში მომჩივანის კუთვნილი განადგურებული ვარდის ბუჩქების ახალი ბუჩქებით შეცვლის საფასური. “პროექტს” არ შეუთავაზებია ვარდების გაყიდვით მიღებული მოსალოდნელი მოგების თანხის კომპენსაცია.

7. “პროექტმა” განაცხადა, რომ მომჩივანმა შეიძინა მიწის ნაკვეთი ყოფილი მფლობელისაგან, შესთავაზა რამ მას იმ თანხაზე ოდნავ მეტი, რომელსაც “პროექტი” გადაუხდიდა; და მომჩივანმა შეიძინა ეს ნაკვეთი იმისი სრული ცოდნით, რომ ნაკვეთი მილსადენის მშენებლობის კორიდორში იმყოფებოდა. “პროექტმა” აგრეთვე განაცხადა, რომ მომჩივანმა იქ დარგა დაბალი ხარისხის ვარდის ბუჩქები, მაშინ როცა ეს ადგილი არანაირად არ შეესაბამებოდა ასეთ საქმიანობას. “პროექტის” აზრით მომჩივანმა წინასწარ განზრახვით შეიძინა აღნიშნული განადგურების გზაზე არსებული ნაკვეთი, რათა მოეთხოვა კომპენსაციის გაუმართლებელი რაოდენობა. ამიტომ, “პროექტი” არ არის მომზადებული “გადასახლების სამოქმედო გეგმის”-ს (RAP) დებულებების შესასრულებლად, რადგან ეს დებულებები შექმნილი იყო სამართლიანობისათვის, და არ უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნული საჩივრის საქმის მიმართ.

8. “პროექტმა” შეიძინა მომჩივანის კუთვნილ ნაკვეთზე მილსადენის მშენებლობისა და ოპერირების უფლებები “განსხვისების დერეფანის უფლების” (NROW) განაცხადის საფუძველზე. “პროექტმა” მიიღო ეს უფლებები NROW-სგან, რომელმაც მისცა მას აღნიშნული ნაკვეთის გამოყენების უფლება. “პროექტს” არ გამოუყენებია მიწის ფლობის ცნობილი კანონი, რათა მოეპოვებინა მომჩივანის მიწის ნაკვეთზე მილსადენის მშენებლობისა და ოპერირების უფლებები.

9. “პროექტს” მიაჩნია, რომ მომჩივანს მისი დანაკარგისათვის სამართლიანი ფორმალური საზღაური შესთავაზა მიწის ნაკვეთის ფასების პროექტის კურსის შესაბამისად, და ამას დაამატა განადგურებული ვარდის ბუჩქების საზღაური. “პროექტის” აზრით, არ არსებობს სასამართლოს დადგენილება სხვა რაოდენობის ალტერნატიული ანაზღაურების თაობაზე. “პროექტი” ამტკიცებს, რომ მის მიერ მომჩივანისათვის პირველად შეთავაზებული კომპენსაცია ძალაშია, თუკი მომჩივანი ისურვებს მის მიღებას.

³ მომჩივანის წერილი CAO-ს, დათარიღებული 2006 წლის 12 ივნისით, და “პროექტის” (ბოჯ კომპანია) წერილი, დათარიღებული 2006 წლის 20 აპრილით.



10. მომჩივანი ამტკიცებს, რომ მან კომპენსაცია უნდა მიიღოს “გადასახლების სამოქმედო გეგმის”-ს (RAP) საფუძველზე. ის არ ეთანხმება “პროექტს”, და მიაჩნია, რომ მისი ვარდის ბუჩქები არ იყო დაბალი ხარისხის, და რომ მისი ნაკვეთი მებაღეობისათვის გამოსადეგი იყო. მომჩივანის თქმით, მან შეიტანა განაცხადი თბილისის საოლქო სასამართლოში 2004 წლის 23 ივლისს, და კიდევ ერთი საჩივარი დაუსახელებელ საოლქო სასამართლოში სხვა 35 მომჩივანთან ერთად, მოგვიანებით, დაუსახელებელ თარიღით.⁴ მომჩივანი ამბობს, რომ საქართველო სასამართლო მიკერძოებულია “პროექტის” მიმართ და არ არის სამართლიანი.

⁴ მომჩივანის მიერ 2006 წლის 20 აპრილით დათარიღებული “პროექტის” (ბოჯ კომპანია) მიმართ მიწერილ წერილში აღწერილი მოთხოვნები.



4. პოლისის შესაბამისად მიჩნეული დებულებები

11. CAO-ს შესაბამისობის განყოფილების თვალსაზრისით, საკითხავი ის არის, თუ როგორ უზრუნველყო საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაციამ პროექტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტა, და რომ მოსახლეობას მიეცა კომპენსაცია ისეთნაირად, რომ დაემყოფილებული იყო კორპორაციის პოლისების ძირითადი ამოცანები. იმისათვის რომ ფინანსურმა კორპორაციამ უზრუნველყოს ზემოთ აღნიშნული, “გადასახლების სამოქმედო გეგმა”-ში (RAP), საქართველო, შეტანილია დებულებები, დანართი 1, გვ. 8 (“ხელმძღვანელობა მიწის შეძენისა და კომპენსაციის შესახებ”, GLAC), და “განსხვისების დერეფანის უფლების” (NROW), რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნაწილს წარმოადგენს. RAP-ის დებულებებში უზრუნველყოფილია მიწის მესაკუთრებისა და მომხმარებლების ინტერესების დაცვა, რომლებიც მილსადენის მშენებლობის შედეგად ნამდვილად და გარდაუვლად ზარალდებიან. RAP-ში აგრეთვე ნათქვამია, რომ, თუ მოლაპარაკებები წარუმატებელი იქნება, მაშინ “პროექტი” (ბოჯ კომპანია) მიწის განსხვისების პროცესს მიმართავს აღნიშნულ მიწის მფლობელთან. RAP-ის თანახმად, კომპენსაცია მრავალწლიანი ბუჩქების/ხეებისათვის განისაზღვრება საბაზრო საბითუმო ფასით, რომელიც იმ შემოსავალს უტოლდება, რასაც ფერმერი მიიღებს თავისი მოსავლის ბაზარზე გაყიდვით.

12. “განსხვისების დერეფანის უფლება” (NROW), რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, არ არის განხილული “გადასახლების სამოქმედო გეგმა”-ში (RAP). NROW-ს დებულებების თანახმად, როცა მხარეები ვერ თანხმდებიან შესაბამის კომპენსაციაზე, სასამართლოს ევალება კომპენსაციის რაოდენობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევაში მომჩივანი, და არა “პროექტი” (ბოჯ კომპანია), თვითონ არის ვალდებული შეიტანოს განცხადება სასამართლოში კომპენსაციის თანხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.



5. რას მიაკვლია CAO-მ

13. მხარეები არ დავობენ სხვა ფაქტებზე, გარდა მიწის ნაკვეთის ვარგისიანობისა ვარდების კომერციული გამრავლების საკითხისა. ამგვარად, ამ შემთხვევაში, ამ დავის საფუძველს წარმოადგენს, შესაძლებელია თუ არა გამოყენებული იქნას “გადასახლების სამოქმედო გეგმა” (RAP), როცა ერთი მხარე ამტკიცებს, რომ მეორე მხარე არ იქცევა პატიოსნად.
14. CAO-ს თვალსაზრისით, არ არის საფუძველი იმისა, რომ “გადასახლების სამოქმედო გეგმა”-ს (RAP), არ გააჩნია დებულებები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მოცემულ შემთხვევაში, ან რომ საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაციამ (IFC) ვერ უზრუნველყო თვითონ აღნიშნული დებულებების შესრულება.
15. CAO-ს თვალსაზრისით, არ არსებობს არავითარი ნიშანი იმისა, რომ “პროექტმა” არ შეასრულა აღნიშნული დებულებები.
16. CAO არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს, ან ეროვნული სასამართლო სისტემის შემცველს საქმიანობის ტერიტორიაზე.
17. CAO თვლის, რომ “პროექტი” ასრულებს ეროვნულ საკანონმდებლო დებულებებს. ამ შემთხვევაში ეროვნული საკანონმდებო დებულებები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) პოლისების დებულებებს.



6. CAO-ს გადაწყვეტილება

18. CAO ასკვნის, რომ ეს საქმე არ შეიცავს კრიტერიუმებს კვლევა-ძიების გასაგრძელებლად აუდიტის სახით, იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყო საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაციამ თავისი მხრიდან სოციალური სფეროსა და გარემოს პოლისების დებულებების აღსრულება. CAO ხურავს ამ საქმეს.